



ნიშადური



№ 47

ქოზელკვირული უზრუნალი

№ 47

«ნიშადური» დღეიდან წლის დამლევაბდე ღირს 3 d. 50 კ. ხოლო წლიურ ხელის მოძვერთ (5 მ) კაგე ხანება უველა ძველი წმწ-ბი, ი. ჭავჭავაძის დიდი სურათი და «ნიშადურის კრებულები».

იუდება წარსული წლის სრული კომპლექტი უდით—2 მან.

მისამართი: Тифлиς, Валериану Гунія, ред. „Нишадური“.

შესანიშნავი სურათები



შემადგომა—ზეიფერტის ნახატი.

აკაკის ლექსი.

(დაწერილი 1862 წ. და ჯერ არსად დაბეჭდილი)

კეკელას ალბომში.

სიზმრად ვნახე შენი გული.

ეს სიტყვები ზედ ეწერა:

„გამოცვლილა სიყვარული
აქ ოთხმოცდა ცხრამეტ ჯერა!“

მეასედ მეც მზად ვიყავი,
ჩემი თავი ჩამეწერა.

მაგრამ გააქნიე თავი
და მანიშნე: ვერა! ვერა!!

რა გულმა აღარ გინება,
გავბრუნდი... დაფრჩი მე ასე!..
ვსცნობდე მაინც, ვინ იქნება
ის შესაბრალო მეასე?!
დიდხანს იქნება მაგ გულზე
ის მეასედ დაწერილი?
თუ გამოსცვლი მასაც სხვაზე
და დარჩება თავდახრილი?
დიახ, შენს გულსა აქვს ძალა
და თანაც გამოცდილება:
თუ მაგდენი წაიშალა.
იქ მეასეც წაიშლება!..

აკაკი.

მტარნი ხართ თუ მოჰყარენი?

„ხედავთ, ვითარის კანდიერებით, შეკრებების ჩვენზედ „უსჯულოება“ ნ. ბ.

V

შემდეგ რა იქნება დიანაც არ ვიცით, მაგრამ ესლა კი, რაც ზემოთა ვსთქვით,—ისიც რომ არ გვაკმარეს ჩვენმა მოციქულებმა,—ეს მართლაც და უბედურებაა. ერთი თანამოაზრე და თანამგრძობელი ბ-ნი ანისა ბ-ნი ა. უკვე პირდაპირ იფიწყებს სხვა ყოველივე არგუმენტაციას,—სოციალიზმს, კულტურასა და ისტორიას, და პირდაპირ გვეუბნება,—რომ თხოულობთ ავტონომიასა, რა ხართ, ვინ ხართ,—ან რიცხვით რას წარმოადგენთ, ვილაც სხვებში არეულნი ქართველნი, ან სადა გაქვსთ ტერიტორია, რომ იგი მთლიან სიერცეს წარმოადგენდეს თქვენს საზღვრად,—იმ თქვენ ოდესღაც ყოფილ ტერიტორიაზედ დღეს ხომ მიღეთის ხალხია და ისინი გინდათ რომ დასხაგროთ თქვენი ავტონომიითაო?

ხედავთ, ესლა საიდან მოგვიარა ამ კეთილ-მოყვარე ა-მა? თურმე სულ აღარ ვყოფილვართ და მართლაც აბა რაღა სალაპარაკოა ავტონომია და ან სხვა რამ ამგვარები არ არსებულნი, უმიწაწყლო და ორიოდ სხვებში არეულ უკულტურობათვის!

ბ. ა. უსაყვედურებს ფედერალისტებს,—ჩვენ ტერიტორიაზედ უმრავლესობა ქართველთა არა სცხოვრობს და როგორ გინდათ მისი გამოყოფაო. ამის დასამტკიცებლად იმას მოჰყავს ძველი ამიერ კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი, შემდეგ ცალკე ერთა რიცხვი და ადარებს მათ რა ქართველთა რიცხვს, დასძენს, რომ იმას გარდა რომ ქართველთა რიცხვი მცირეა,—როგორ გინდათ საქართველოს ავტონომია, როდესაც ეს ერები არეულნი არიან ერთმანეთშიო!—ჯერ ერთი არც ერთ ფედერალისტს არ უთქვამს, რომ ჩვენი ტერიტორია წმინდათა-უწმინდესია, მეორე,—არც ერთს არ წარმოსცდენია, რომ ჩვენი ტერიტორია არის ამიერ კავკასიაო,—და მაშ რა საჭიროა აქ ან მთელი ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა რიცხვი, ან ტერიტორიის სიწმინდე, რომელიც არსად არ არის განხორციელებული. განა რუსეთის მთელ ტერიტორიაზედ არაა რუსთა რიცხვი ნაკლები არ არის არა-რუსებისაზედ?—მაშ ამ მიზეზით წართვით რუსეთს „ავტონომია“! მაგრამ ეს ხომ «ისტორიულად აღორძინებულ სახელმწიფოს» ხელის შეხება იქნებოდა და ამას როგორ გაბედავს ბ-ნი ა. ჩვენ კი არა გვაქვს ბედნიერება ჟანდარმი ვიყოლიოთ აღსტაფაში, კავკასიონზედა, ჯავახეთში და ბათუმში,—და რასაკვირველია ჩვენი ჩაწიხვლა ამიტომ ხელ-საყრელიც და სასიქადულოც არის!

ბ. ა.—ადვილად ხედება ამ ამიერ-კავკასიის ლათიის სიყალბესა და იღებს ნამდვილ საქართველოს ტერიტორიას, და რასაკვირველია იქაც ჰპოულობს ჩვენს არარაობას. თურმე სულ ცოტათია ქართველობა მეტი სხვებზედ თვით საქართველოში! ბ.—ა. იმას აღარ დაგიდევს, თუ სად არის შეჯგუფული უცხო ელემენტი, ან გაბნეულია იგი თუ არა ჩვენს ტერიტორიაზედ. არც იმას დაგიდევს, მართალია თუ არა ის სტატისტიკა, რომელიც შეადგინეს 1897 წელში, და რომელიც თავისი თვალსაჩინო სიყალბით ყოველ კალენდარში მოიპოვება. ერთი მაინც ჩაუკვირდებოდა ის დალოცვილი მცხოვრებთა განაწილებას სხვა და სხვა რაიონებში, რომ ნა-

თლად დაენახა სიყალბე ამ სტატისტიკისა. და ყალბის სტატისტიკის ყალბი გათვალისწინებით მთელი ნაკლის ბედობის გადაწყვეტა განა იმ ზემოხსენებული, ყოველდ სამადგილო წადილის მიღწევის მუშლის-მგვრევა არ არის?

ჩვენ არ გამოვუდგებით ქართველთა რაოდენობის რიცხვის კვლევას, საქართველოს ტერიტორიაზედ ამბობენ და თვით არსებულ სტატისტიკიდანა სჩანს, რომ 1/4 მილიონამდის უნდა ვიყოთ, მაგრამ ესლა 1908 წელია და მგონი 1897 წლ. შემდეგ ბავშვები მაინც უნდა რომატებოდა ქართველობას, თუ მართალი არ არის იმ სომეხთა ქაღილი, ცნობილ კუტულთან, რომ ქართველები განმრავლებას მოსპობენ და სომეხები კი განმრავლდებიან ისე, რომ შეიძლება მრავალ მილიონად გადიქენო. შემდეგ,—ყველამ იცის, რა ტენდენციებითაც ითხზებოდა 1897 წლის სტატისტიკა და როგორი ნდობის ღირსიც არის იგი. მაგრამ რაღა ჩვენი უხეირობის მიზეზით სხვა სტატისტიკა არა გვაქვს, ჩვენ თვითონ არ ვიცით ჩვენი რიცხვი, დავანებოთ თავი ჩვენ რაოდენობასა და მივყვეთ საქართველოს ნაწილებს, ვნახოთ, თვით არსებულ სტატისტიკა ხომ არა სტყუის ჩვენ დასამცირობლად?—ბ. ა-ც ხომ ამ სტატისტიკას მისდევს კვალ და კვალ და მასაც ჩვენი დამცირობა აქვს სახეში. ავიღოთ ბათუმის ოლქი. სტატისტიკით იქ არის სულ 144,584 მცხოვრები, მათ შორის ქართველად არის ნაჩვენები მხოლოდ 63,011 მცხოვრები! ვინ არიან ეს დანარჩენი 81,573!—რუსები არიან 9956, სომეხები 14,939, თურქ-თათრები 45,221. დანარჩენთა რიცხვი ანგარიშში ჩასაგდები არ არის, როგორც პოლონელთა, ბერძენთა და სხვ. როგორც ხედავთ არც რუსობა და არც სომეხობა იქ ისეთ რაოდენობას არ წარმოადგენს, მათ ინტერესთა დასაცავად რომ ქართველებს ავტონომია წაერთვასთ; განსაკუთრებით რუსობა არ გვიანტერესებს, რადგანაც ჯარიც, ჩინოვნიკობაცა და სხვა ასეთი ელემენტები შედიან ამ სტატისტიკაში. დარჩა ეს 45,221 კაცი,—თუ რქათათარი! აი რამდენი ყოფილა თურმე თურქ-თათარი ბათუმის ოლქში, და რასაკვირველია ჩვენ მათ დაგზავრავთ ავტონომიის დროს,—ძირს საქართველოს ავტონომია და მისგან ერთა ჩავგრა! აბა როგორ არ უნდა გაჯავრდეს მართლაც კაცი! თურმე, ნუ იტყვით, არღანუჯის ნაწილში ყოფილა 14,175 თურქი და არც ერთი ქართველი, შავშეთ-იმერხევში ყოფილა 7,084 ქართველი და 13,522 თურქი, ზემოაჭარაში სულ არ ყოფილა ქართველი და ყოფილა 20,754 თურქი. გონიის ნაწილში არც ერთი ქართველი, მადლობა ღმერთს, მხოლოდ ცოტაოდენი თურქი და მარტო 7,785 ლაზი, თითქოს ლაზი ქართველი არ იყოს! კინტრიშის ნაწილში ყოფილა თურმე მარტო 1,114 ქართველი და 10,552 თურქი, თურმე თვით ქობულეთში ყოფილა მარტო 164 ქართველი და 3,259 თურქი! ქვემო აჭარაში თურმე სულ არ ყოფილა ქართველი და ყოფილა 15,051 თურქი! ახლა მოდი და ელაპარაკე ასეთ სტატისტიკის დამწერს, ან იმ სულით სპეტაკ სოციალისტს, ვინც მას ყურს უგდებს! აჭარაში და ქობულეთში ქართველი არ არისო! იქ სულ თურქებიანო! ეს საზიზღარი ტინდენცია, საცოდავი ლათია არ არის? მისი ყურის გდება კი უშნო და ულაზათო მუტრუკობა არ არის, მაშ რა ოხრობა და ჯანაბაა! ან და ერთი ჰკითხეთ, თუ მაინცა და მაინც ვინთ ხელმძღვანელობდენ სტატისტიკის შედგენის დროს,—რა ენაზედ ლაპარაკობენ ქობულეთელები და აჭარლები! სად არის იქ თურქული ენა ხალხში? ვინც კი ყოფილა ამ ქვეყნებში და

დაუგლია, ყველა ერთხმად ლაპარაკობს, რომ იქ ქართული ენა გამეფებული, ეს ქვეყნები საქართველოა, ქართველი ხალხით დასახლებულია. თურქის ელენენტი ბევრ ადგილებში ან სულ არაა, ან უმცირესი, ანგარიშშიაც არ არის ჩასაგდებათ თვით ოსმალეთის საზღვარ-გადაღმა საქართველოშიაც ლაპარაკობენ ეხლაც ქართულად, ქართული ჯერ საგსეპით სრულიადაც არ გამქალა, რასულის მხრით კი იქ ქართველობა კიდევ უფრო დაცულია, — ხოლო ჩვენი მოყვარე სტატისტიკოსები და მათთან ბ. ა. გამომდგარან და ყვარიან, — აჭარაში და ქობულეთში 164 კაცი და დარჩა ქართველია, ისიც მარტო ქობულეთში, — აჭარაში კი სულ აღარ არის! მართლაც და აქაო და დაბეჭდილი ციფრებიაო, — მიტომ უნდა აყვეთ ამ სისულელეებს, თუ მართლაც უმცავსო და მყარლი ბალდამი არ გვიდგია გულში! — მართლაც, აბა ერთი სხვა წყარო? — საც დავეკითხოთ ბათუმის ოლქის შესახებ, გარდა 1897 წლ. სტატისტიკისა. 1906 წელს გამოცემულ წიგნში ბათუმის ქალაქის გამგეობისგან, — სწერია: „ბათუმის ოლქის მცხოვრებნი არიან გურულები, აჭარლები, რომლებიც სცხოვრობენ კინტრიშისა, აჭარის წყალისა და ჭოროხის ხეობებში, და ლაზები, რომლებიც სცხოვრებენ მაყრილისა დაიჩხალის ხეობებში. ეს ხალხი — ქართველებია, ოდესღაც ქრისტიანენი, ეხლა მაჰმადიანები. მათგარდა სცხოვრებენ თურქები, სომხები, ქურთები, რუსები და ჩერქეზები ბათუმის მიდამოებში“ *) და სხვ. და სწორედ ამ ქართულ ხეობებშია ნაჩვენები თურქ-თათართა ხალხი, როცა იმ მშვენიერ სტატისტიკას გადახედავთ. მაშ თურქები და სხვანი, რომლებიც სცხოვრებენ „გარდა“ ქართველთა, იქ არ ყოფილან, სადაც სტატისტიკა გვიჩვენებს, ან ძლიერ მცირენი ყოფილან და გაბნეულნი სხვა და სხვა კუთხეებში. ეს თვალსაჩინოა. სხვა არა იყოს რა, თვალთაც უნახავსთ რომ ეს სწორედ ასეა და სტატისტიკა მასასადამე ურცხვად სტყუის.

თვით რუსის ჩინოვნიკი ვეიდენბაუმი, რომელიც მგონი ბ. ა. ზედ უფრო ნაკლები ფანატიკოსია რუსებისა, აი რას ამბობს საქართველოს ამ ნაწილის შესახებ, რომელიც მან თვითონ დაიარა. „ბ. მეფისოვის, ართვინის ოლქის უფროსის სიტყვით, მარცხენა ნაპირი ჭოროხისა, მირვანიდან ზღვამდის, დასახლებულია ლაზებით. მირვანში ზოგი მეგრულად ლაპარაკობს (იგივე ქანურია), ზოგი ქართულად. აჭარის მხრით მათ ეძახიან ქანებს, მაგრამ ისინი არა სთვლიან თავიანთ თავს ქანებად, და ამბობენ, — ქანები მთას გადაღმა, ზღვის პირად სცხოვრობენო“. **) რასაკვირველია, თუ ესენი ქანებად არა სთვლიან თავს, — ან მეგრელებად მიიჩნიან თავი და ან ქართველებად, და არა თურქებად, რადგანაც იქ ქართული და მეგრული ყოფილა გამეფებული.

ვეიდენბაუმი შემდეგ პირდაპირ ამბობს; „უმეტესი ნაწილი ბათუმის ოლქისა ლაპარაკობს ქართულად. ეს ენა გამეფებულია ქობულეთში, აჭარაში და შავსუფეთში. (სწორედ იქ, სადაც ან არ არის ქართველი და ან ასია, ან ათასი ა-ს ყალბი სტატისტიკით. — აღ.). ჭოროხის ხეობაში ქართული ენა თუმცა კიდევ არის ხმარებაში. მაგრამ ზოგან შერყვნილია და ბევრგან კი თათრულს დაუთმო ალაგი“. ***)

რასაკვირველია, ბევრგან დაიკარგა ქართული ენა, მაგრამ მაზედ მიინც დიდი უმრავლესობა ლაპარაკობს საქართველოში გამუსულმანებულ საქართველოში, და რომელიც არ იყოს, ამ მცირე ადგილებში სულ ადგილი სჭამენ იქნებოდა ქართული ენის აღდგენა. ბ. ა. რასაკვირველია ამისი წინააღმდეგი იქნება, რუსის ჩინოვნიკი კი პირდაპირ ლაპარაკობს — აუცილებელი საჭიროა ქართული ენის აღდგენა და მისი შემოღება, როგორც მთავრობის ენისა, რადგანაც იგივე შეცდომა აღარ ჩავიდინოთ, როგორც ჩავიდინეთ ახალციხის შემოერთების დროს, როცა მუსულმან-ქართველებს თათრულად დაუწყვეთ ლაპარაკი, ქართული შევასუსტეთ და ამით მათაც დაჭვეს თავსაც ვაგვეთ ო! დმერთო ჩემო, — რუსის ჩინოვნიკიც კი უფრო კაცო მოყვარე და თანაც ჭკვიანი ნოჲს გამჭვრეტი რუსის ნაციონალისტი აღმოჩნდა, ვიდრე ქართველი სოციალისტი! მართალია ამას ვეიდენბაუმი 1873 წელში სწერდა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ მას შემდეგ თუ შემცირდა, თორემ არ გაძლიერებულა ოსმალთა გავლენა ბათუმის ოლქში. ბევრი გადასახლდა ომის შემდეგ ქართველიც და მთლად თურქობაც ოსმალეთში, მაგრამ ისიც ვიცით, რომ უმრავლესი ქართველობა ისევ უკან დაბრუნდა. საერთოდ კი ფაქტია, რომ ეს ნაწილი ჯერ-ჯერობით ჩვენ სრულიადაც არ დაგვიკარგავს, იქ საქართველოა ეროვნებითა და ენით გამეფებული!

ამასავე მოწმობს ისარლოვი თავის წიგნში „Письма о Грузии“. იგი პირდაპირ ამბობს: „მცხოვრებნი ბათუმის ოლქისა, რომელთა რიცხვიც უდრიდა დაახლოვებით 150,000, ეკუთვნოდა ქართველთა ტომს: ქობულეთლები, აჭარლები, ართვინელები, შავშელები, მაჭახელელები და სხვანი, — სულ ქართველები არიან. ნამდვილი თურქები, სომხები და ბერძნები ძლიერ ცოტანი არიან. იქა სცხოვრობენ აგრეთვე ძველი გადმოხალეულნი მეგრელები და მაყრიალში, რომელიც ლაპარაკობენ მეგრულადაც და ქართულადაც“ და სხვ. *) ეს ცნობა მით უფრო საგულისხმიეროა, რომ ნათლად გვაჩვენებს, — ვეიდენბაუმს რომ ქართულ-მეგრულად მოლაპარაკე ქანები გაუგონია მეფისოვისგან, — მართლაც არ სთვლიან ისინი ქანებად თავიანთ თავსა, არამედ მეგრელებად ან ქართველებად, და არა თურქებად, მით უმეტეს, რომ ისინი ოსმალეთის მთავრობას მხოლოდ მე-XVIII საუკუნეში გადუსახლებია სამეგრელოდან.

ყოველივე ამას მოწმობენ აგრეთვე სხვები ვინც კი ყოფილან საქართველოს ამ ნაწილში და ან დაუწყებიათ რამე, ან ზეპირ იციან: ზაქარია ჭიჭინაძე, დიმიტრი ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვანი. პატივცემულ ექვთიმე თაყაიშვილისაგან კი ბევრჯერ მსმენია, რომ იქ, რასა არის დაცული თურმე შესამჩნევად. ასე გასინჯეთ კლარჯეთშიაც კი ჯერჯერობით შეურყვნელია ქართველის მოწყვეტილი და ლამაზი ტიპი. და ყველა ესენი იქ დადიოდენ, რათა გამოეკვლიათ ნაშთნი ჩვენის ძველის კულტურისა; გარდა ყველა ამისა არც ისე დიდი ხანია, რაც განსაკუთრებით აჭარაში და ქობულეთში გავრცელდა მუსულმანობა. სულ ეს ორი თუ ერთ ნახევარი საუკუნეა. სულ წინად კი იქ იყო დიდებული ტაძრები, დიდებული მონასტრები, სადაც ჩვენი მწერლები მოღვაწეობდენ, სადაც ეხლაც კია ბევრგან დაცული მშვენიერი ხელოვნება; განსაკუთრებით მხატვრობა. იქიდან გამო-

*) Батумъ и его окрестности, p. 16.
 **) Кавказские Этюды, Вейденбаума, p. 116.
 ***) Idid, p. 120.

*) Л. С. Исарловъ, «Письма о Грузии, гв. 276.

ვიდა შესანიშნავი გვარი ბაგრატიონთა (კლარჯეთიდან), და სხვ. მაგრამ დავენებოთ თავი ძველ დროის მოგონებასა. ჩვენ აქ ისტორიას არა ვსწერთ, და არც ამისი პრეტენზია გვაქვს!

ჩვენ ის გვინტერესებს აქ, რომ ტყუილია, ვითომც ბათუმის ოლქში უმეტესი ნაწილი ქართველებისა არ იყოს, ტყუილია ის რომ იქ მხოლოდ 63,011 ქართველია, ეს 1897 წლის სტატისტიკის მოპოვებული ამბავია, და ის ადგილები, სადაც 45,221 თათარ-თურქია ნაჩვენები, სულ ქართველებით არის დასახლებული. ვსჯებით რომ თუ გინდ 5,000-ზე მეტია ეს თურქ-თათარი, — 40,000 ზე მეტი აჭარელი და ქობულეთელი, ჭანი და ჭოროხელი მაინც მოუპარავს ჩვენთვის! ამაზე ნაკლები ხომ აღარ იქნება ყველა ამ მახრათა მცხოვრებლების რიცხვი. ამას კი არავისაც არ დაეუთმობთ, — არც თურქებს, არც ბ. ა-სა და არც სხვა მტრებს ჩვენი ავტონომიისას. რჯულს თუ იტყვიან, — თითქოს გერმანიაში ცოტა იყოს კათოლიკე, ან საფრანგეთში პროტესტანტი, — მაშ ისინი ფრანგები და გერმანელები, აღარ ყოფილან! ენით რასით, შთამომავლობითა და ისტორიით ეს გუშინ გამაჰმადიანებულნი ჩვენი ძმები არიან; თუ ამ ოთხასი წლის წინად შახ-აბაზისაგან გადასახლებული ფორიდანელები დღეს ხელს გვიწვდიან და ენითაც და ქართველობითაც გვაჭარბებენ, ჩვენთან ყოფნა უნდათ, — ჩვენთან დარჩენილები, ჩვენ ტერიტორიაზედ გამუსულმანებულები გკვრენ ხელს? — თავის დღეშიაც არა? მაშ კეთილ ანებეთ და და მიუმატეთ 40,000 ქართველი 63,011-სს, რომელიც მხოლოდ სინიდისის ძალით ჩაუგდიათ კიდევ ქართველთა რიცხვში, — და მაშინ გამოვა ბათუმში 103,000-ზე მეტი ქართველი; — ესეც მინიმუმია და არა მაქსიმუმი, რასაკვირველია. შეადარეთ ეს რიცხვი საერთოდ მცხოვრებთა რიცხვს — 145,000 და დაახლოვებით გამოგვივით 71% ქართველი ბათუმის ოლქში. ასეთ პირობებში არა გვაქვს უფლება ბათუმის ოლქი ქართულ პროვინციად ჩავთვალოთ? — მაგრამ რა უნდა ვუთხრა იმ სტატისტიკას, რომელიც ისე თაღლითობს, რომ თვით ბათუმის ქალაქშიაც კი სომხები ქართველებზედ მეტი გამოიყვანა, ურიებიც კი (1064) იმერლებზედ მეტი აღნიშნა (339), და ქართველი მუსულმანები კი მხოლოდ 176 აღმოაჩინა!.. მხოლოდ ერთი გვაკვირვებს, — საიდან არის ხოლმე იქ საბჭო ქართული, თუ ქალაქში ქართველი არავინ არის!..

ესლა სხვა გუბერნიებს გადავხედოთ.

სოხუმის ოლქში, უკანასკნელი ცნობებით, მცხოვრებთა რიცხვი უდრის 112,316 სულს, *) მათ შორის სამურაქანოში მარტო ქართველებია — მეგრელები — 44,623, აბხაზები აფხაზეთში — 40,978, მეგრელები აფხაზეთში 9,037. მცირედენი ქართლ-კახელობა, იმერლობა და გურულები, დანარჩენი სომხები, რუსები და სხვანი, რომელთა რიცხვი უმეცირესს ნაწილს შეადგენს ქართველებთან და აბხაზებთან შედარებით. ქართველთა რიცხვი საერთოდ მთელ მცხოვრებთა რიცხვის თითქმის ნახევარს შეადგენს — 53,829-ს.

თვით ქალაქი სუხუმი — ქართული ქალაქია.

მაგრამ ვინ არ იცის, რომ აბხაზეთი ისტორიულად ჩვენთან იყო შეკავშირებული, ხშირად იქიდან მოდიოდა ხოლმე საქართველოს გაერთიანების ძალა, აბხაზთა ეროვნებას კი ჩვენ არ შეგვხებივართ არასოდეს და არც შევეხებით. ყოველ შემ-


*) იხილე ყველა ამაზედ „Цхумели“ — Абхазия. ხალხთ-აღრიცხვისათვის — p. 16.

თხვევაში, მათ ჩვენთან მეტი საერთო აქვს ყოველის მხრით, ვიდრე სხვებთან, და თვითონ ისინიც ჩვენსავე მოსურვებენ დარჩენას, — ან თვითონვე საკეთარის გვტონომიის დაარსებას, ვიდრე სხვებში გათქვეფასა და გადაგვარებას. მთელი ისტორია მოწმობს, რომ ეს ასე იყო წარსულში, და თუ აწმყოში ჩვენი სიძულვილით მათ რუსული ანბანი მოახვიეს თავს, თუ დღეს მათ შორის აგიტაციას ვწევინ ქართველთა წინააღმდეგ, ვითომც მათი ეროვნების დასაცავად, — ყოველმა აბხაზმა იცის, თუ ვინ ვწვევ მისთვის ასეთ გულ-შემატკივარ აგიტაციასა და რა სიყვარული აქვს აბხაზისა ამ აფხაზეთის ერის დამცველს! ჩვენ თამამად შეგვიძლია ის 40,978 აბხაზიც ჩავთვალოთ, როგორც საქართველოს ავტონომიაში შემოსვლის მსურველნი. და მაშინ ქართველებთან ერთად ისინი შეადგენენ 104,807 ადამიანს, ესე იგი დიდ უმრავლესობას მთელ მცხოვრებთა რიცხვიდან — 122,316 სულიდან.

მაგრამ ბ-ნი ა. ამას არ დაგიდევსთ — იგი პირდაპირ ამბობს, სუხუმის ოლქში 106,179 მცხოვრებიდან მარტო 25,873 ქართველია, დანარჩენი, უმრავლესობა, — სხვაა, და რა ავტონომიაზედ ყვირითო! შე დალოცვილო ა., მარტო სამურაქანოშია 40,000 მეტი ქართველი და მთელ ოლქში 25,000 — დაა?... თუ სამურაქანო სოხუმის ოლქს არ ეკუთვნის? მაგრამ ეს რა, — ეს ვაჰბატონი ისე გავადნიერებულა, რომ თავის სტატის შენიშვნაში მელა-კულდურათ ამბობს: „ქართველად იწერებოდა 1897 წლ. აღწერის დროს ყველა ის, ვინც ქართულ ენას თავის სამშობლო ენად აღიარებდა, ამითში შევიდენ მეგრელები და სვანებიცა“. — თითქოს რაღაც საექვეო იყოს მეგრელთა და სვანთა ქართველობა! მეგრელები და სვანები თუ საექვეო ქართველები არიან, — მაშ ვინდა არის ნამდვილი ქართველი? — არას ვიტყვით ძლიერ ბევრ მკვლევართა და ისტორიკოსთა აზრზედ მეგრულ-სვანთა შესახებ. შეიძლება დადგეს დრო. როცა ერთად-ერთი უქვეული იარაღი ძველ ქართველთა წინაპართა, — ალაროდელთა წარწერების (ვანის ლურსმულს) წასაკითხად მეგრულ-სვანური გახდეს, მხოლოდ ერთი ჩვენი მეცნიერის აზრს, ბ-ნი ი. ჯავახიშვილის აზრს ჩაუკვირდით; იგი მრავალი მეცნიერული საბუთებით ამტკიცებს, რომ უძლიერესი და უპირველესი ჯგუფი ქართველთა იყო სწორედ მეგრულ-ქანური და სვანური, რომელმაც უძველესი ხნიდან დაიწყო ქართველთა ისტორია და ქართველ ტომს მონაწილეობა მიაღებია მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში. ბ-ნი ი. ჯავახიშვილი კი პირველია, რომელიც სწერს ნამდვილ მეცნიერულ ცოდნაზედ დამყარებულ ქართულ ისტორიას.

ჩვენ ბედნიერება გვქონდა წაგვეკითხა დასაწყისი მისი წიგნისა, რომელიც ეჭლა იბეჭდება; *) თურმე თვით გურულები და იმერლები ანუ „იბერ-ლები“ გაქართველებული მეგრულ-ქანები ყოფილან!.. მაგრამ რათ გინდათ ახალი მკვლევარის მეცნიერული აზრი, — თვით ზავაზრსკის კლასიფიკაციით ქართველთა ტომს შეადგენენ — ქართველები, მეგრელები, სვანები და ქანები. ეს კლასიფიკაცია იძულებული იყო მიეღო თვით ჩვენს ანისებურსა და ა სებურ მოყვარე პროფ. პაკანოვსა. ესლა კი ა — მტერთაც აღარ ათხოვებს ყურსა და მტერზედ უფრო დიდი კადნიერებითა და მელაძულობით ეჭვსა ჰბადებს, — სვან-მეგრელებიც რომ შევიდენ

*) „ქართველ ერის ისტორია“, — თავი პირველი-



საქართველოს ხალხთ აღწერაში, ხომ არაფერი დიდი შეცდომა მომხდარა—გაიხარეთ ვისტორკოვებო და ლევიცკებო! თქვენც შეინძირეთ საფლავში, იანოვსკის გაცივებულ ძვლებო, — აი როგორი მოკავშირე გამოვიჩნდათ, — ბ. ა., რომელთან ერთად თამამად შეგიძლიან შეუდგეთ ქართველთაგან მეგრულ-სვანთა ჩამოცილებას, შეადგინეთ მეგრული ანბანი რუსული ალფაბეტით, განახორციელეთ თქვენი იდეალი, ჩვენო მკვდარნო და ცოცხალნო მოყვარენო, საერთო ძალით!... თუმცავეჭობ რომ ბ. ა-მ მეცნიერული მხრით რაიმე დახმარება გაგიწიოსთ, — იგი ამ საქმეებში ერთობ უმეცარია!

ზაქათალი ოქს რაც შეეხება, — არავის შევედავებით, — მხოლოდ ინგილოვლები, რომელთა სოფლებიც ერთ ტერიტორიას წარმოადგენენ, — ისინი შემოვიდნენ ჩვენ ავტონომიაში. შერეულ ხალხთან ჩვენ საქმე არა გვაქვს, — მათ რასაკვირველია სრული უფლება აქვს თავიანთი საქმე გინდ ლეკურად აწარმოონ, გინდ ქართულად. ვსთქვათ რომ შეურეველი ინგილო 13,000 მეტი არ არის, — ეს „შერეველები“ ხომ მაინც ჩვენთან იქნებიან.

ქუთაისის გუბერნიაში, თვით ბ-ნი ა. ამბობს რომ ქართველობა მართლაც ერთ „ხალხს“ წარმოადგენსო, ქუთაისის გუბერნიაში სულ 807,478 სულია, მათ შორის 779,881 ქართველი. მაგრამ ეს იმავე შეუდარებელი 1897 წლის სტატისტიკით. რა უნდა უთხრა, — ერთხელ კიდევ გავგედავთ თქმას, — იმ სტატისტიკას, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში უჩვენებს — 280,099 „გრუზინს“, 270,016 იმერელს, 214,210 მეგრელს და 15,560 სვანს. ჯერ ერთი სვანი და მეგრელი გაცილებით მეტი უნდა იყოს თურმე, ვიდრე ნაჩვენები ციფრები გვეუბნებიან, — ასე მოგვიტხოვბენ თვით მკოდნე სვანნი და მეგრელები; — მაგრამ დავანებოთ ამას თავი, — ამახედ იმას გვეტყვიან, — გაჩუმდით, ციფრები არა გაქვსთ ხელშიო! მაგრამ ეს ორას ოთხმოცი ათასი „გრუზინი“ ნეტავ ვინ არის? გურული, რაჭველი, ლეჩხუმელი თუ ქართლ-კახელები, რომელთაც რუსები ეძახიან „გრუზინებს“? ასეა ნაჩვენები 1908 წლ. კალენდარში. მაგრამ ეს თუ ასეა, მაშ 1907 წლ. კალენდარში რაღათ არის ნაჩვენები ლენინის მარაში 35,791 იმერელი, რაჭისაში 69,551 იმერელი, და არა „გრუზინი“, თუ შარშან ესენი არ იყვნენ „გრუზინი“, წრეულს გაიმერელდნენ? ან და თუ წრეულს 15,560 სვანია, შარშან როგორ იყო 16,134 სვანი? ან ერთ წელიწადში ეს ხუთასზე მეტი სვანი სად განქრა? — საკვირველია! — მაგრამ რამდენი გინდათ ამისთანა მაგალითები ამ შეუდარებელ სტატისტიკაში? — მათი ჩამოთვლა ამაო იქნება და უნაყოფო, თუმცა ბევრი რამის მაჩვენებელი, — ტენდენციოზობისა და უხეირო სიბრძნისა სხვათა შორის!

ალაროდელი.

აკაკის *)

ჩემო სამშობლო! შენი დაცვა არა, არ არის სახელისწერო.

ძველს აღმოსავლეთის ქვეყანაში იყო ბალი მზავსი ზღაპრულის ედემისა. თვალ-წარმტაცი, მდიდარი და კეკლუცი კუთხე მიწის ზურგისა..

ამ ბაღს არ აწუხებდა არც გადამეტებული

*) 25 მაისს აკაკის ლექციის შემდეგ ფეხი გაუსხლტა და კინაღამ წაიქცა.

სიცხე-პაპანაქება ზაფხულის მზისა, არც მძაფრი ცინვა სუსხიანის ზამთრისა...

იქ სუფევდა სასაიამო ზომიერება ფეროვანება..

ბალი იყო აღსავსე აუწერელის სიუხვით და მარად აყვავებული ზღვა მოუსვენარი და მარად მღელვარე. ზღვის მტკიცე ნაპირები, სწორი მინდორ-ვაკენი, მთა-გორაკები, დასერილი მრავალის სხვა და სხვა ზომის მდინარეებითა...

იყო აქრელბული ფერად-ფერადი მცენარეებითა და საესე სხვა და სხვა გვარი ცხოველებითა...

მთები დაბურული ათას წლოვან უღრან ტყეებით, თოვლით შემოსილი მთის მწვერვალები ჰარმონიულად შეთანხმებულნი იყვნენ ერთმანეთთან და წარმოადგენდნენ საუცხოვო სურათს დიადი სიკოცხლის მოძრაობისას.. ამ მშვენიერს და მდიდარს ბაღს რამოდენიმე ათასი წლის წინად დაეპატრონა ხალხი ბუნებისგან უხვად დაჯილდოებული და ხორციელ-სულიერის მალალ ღირსებით და მშვენიერებით შემკობილი.

ეს ხალხი იყო ქართველი ერი.

ამ ხალხმა ამ ბაღს უწოდა საქართველო. იმ თავიდან ამ მშვენიერ საქართველოს და მისს პატრონ ქართველ ხალხს გარს ეხვივნენ ურიცხვი მტრები: არაბნი, ბერძნები, რომაელები, სპარსნი, მონღოლები, თურქნი და ლეკნი...

ყველა ესენი იმ-ს ცდაში იყვნენ, რომ როგორმე ამოეწყვიტათ ქართველი ერი და ხელთ ჩაეგდოთ მათი მდიდარი და ტურფა ქვეყანა — საქართველო...

და აი, იწყება საშინელი ომი და გრძელდება ეს ომი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში და დღესაც არ შეწყვეტილა...

ქართველი ხალხი იმ თავიდან თავგანწირულად იბრძვის თავის სიკოცხლის, კაცურ-კაცობის, თავის უფლების და სისხლით მორწყულ საყვარელ სამშობლოს დასაცვლად. ბევრი, ძრიელ ბევრი სისხლი დაჰღვარა ქართველობამ, ბევრი ჭრილობა მიიღო მან გაშმაგებულ და უნდობი მტრების ხელთაგან!..

აუწერელი და აღუნუსხველია ტანჯვა-ვაება ქართველობისაგან განვლილი, მაგრამ არას დროს არ დაცემულა იგი სულით და რწმენით, სასოწარკვეთამდე არ მიღწეულა.. თავისუფლების წყურვილი, ბრძოლის უნარი არ მომკვდარა მის არსებში.

ბევრჯერ განადგურებულა საქართველო, მაგრამ მის ნაოხარზე დღემდე ვერავინ ვერ გაბატონებულა და ვერ გაბედნიერებულა. აოხრებული



საქართველო კვლავ იმოსებოდა ზღაპრულის ძალ-
ლონით, კვლავ ფეხზე სდგებოდა და ბრძოლით პო-
ულობდა სიცოცხლის ნიქს და არსებობის უფლე-
ბას...

მოიღალა, მოიქანცა საქართველო, სისუსტე
შეეპარა მუხლსა და მკლავში, მაგრამ ეგ დროე-
ბითი მოვლენაა: შეისვენებს და კვლავ განაგრძობს
თავის წინ მსვლელობას აბობოქრებულ ცხოვრების
ზღვაზე...

რა ვუყოთ რომ ეთასში ერთხელ ფეხს წაჰკ-
რავს მტერთა და შინაურთა მიერ წინ გახირულ
დაბრკოლებას. დაბარბაცდება, შეირყევა, მაგრამ
არას დროს არ წაიქცევა...

დროებით დაუძღურებულს, დასუსტებულს სა-
ქართველოს დარაჯად უდგას მისი ღვიძლი შვილ-
ნი—ჭირისუფალნი... ღვთიურის ცეცხლით აღენ-
თება მათი გულები... მხნედ და რწმენით წამოე-
ქმნაგებიან ისინი დაბარბაცებულს მშობელს მამას,
ნათელ ქალარით გაბადრულსა, და მხრებში ამოუდ-
გებიან ყავარჯენადა... და წამოდგება, წელში გაი-
მართება ბევრი ჭირ-ვარამის მნახველი მოხუცი და
...კვლავ განაგრძობს თავის საქმეს, თავის ის-
ტორიას...

დიახ, სამშობლოვ! შენი დაცემა
სულაც არ არის საბედისწეროდ.

3. 5.

აკაკის მოსწრებული სიტყვები

ერთ ღვინში აკაკის სადღეგრძელოსა სვამდენ
და თამადამ ლომი უწოდა. მგოსანმა სიცილით
სთქვა:

— თუ მართლა ლომი ვარ, კრილოვის „მო-
მაკვდავი ლომი“ კი უნდა ვიყთ სწორედო! ამ ბო-
ლოს დროს ვირებმა ძალიან დამაყარეს წიხლებიო!..

ერთხელ მგოსანი ამტკიცებდა: როგორც თვე
ში ვერ გასძლებს უწყლოდ, ისე ქალიც უსიყვა-
რულოდო. ერთ ქალთაგანს გული მოუვიდა და
მიამახა:

— აი მე ქალი ვარ მაგრამ სიყვარულის არა
ვიცი რაო!..

— უკაცრავოდო — მიუგო თავდაბლად აკაკიმ
— მე ცოცხალ თევზებზედ მოგახსენებთ, და არა
ზურგიელბზეო!..



აკაკის. **ეროვნული**
(მგოსნის 68 წლის შესრულებით გ. წიკორიძის)

„ასრულდა, თითქმის, რასაც ნატრობდი
შენ ამ ნახევარ საუკუნეში

და, როგორც სვიმონ მოხუცებულსა,
შენც მოგეფინა მოხუცს ნუგეში:

შენმა სიტყვებმა გამოადვიდა
ხალხი მძინარი, დამონებული;

იცნო თავისი მხაგრელი, მტერი,
მათ შეებრძოლა, მოიცა გული.

იმედი გქონდა, რომ მოხუცებულს
დაგანახებდით ნაყოფსა ტკბილსა;

თესლსა კეთილსა აღმოცენებულს
არ გავუხმობდით უდროვით ძირსა.

გიხაროდა, რომ უსამართლობას
მოსპობდა ძალა შეერთებული

და ქვეყანაზედ გამეფდებოდა
ნამდვილი „ძმობა“ და „სიყვარული“

ჩვენ კი ერთმანეთს კბენა დავუწყეთ,
მტერს გავუხარეთ ამითი გული;

და დავამტკიცეთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ
ვერ ვართ ბრძოლისთვის მომზადებული.

ძალ-მომრეობა გავხადეთ მიზნათ,
ტყუილად ვყვირით „ერთობა ძმობა“;

წინად თუ ვინმემ რამ გვაწყენინა,
ეხლა ვუქადით მონობას, მტრობას.

დავკარგეთ სჯული და ეროვნება,
პატივისცემა, ზრდილობა ძველი

მამებს თავში ვცემთ, ჩერჩეტს ვეძახით
ჩვენ ჩვენი თავი გვგონია ბრძენი.

მაგრამ ვსტყუვდებით, ბევრი გვაკლია,
რომ დავგიძახონ ჩვენ შეგნებული;

გვახსოვს პირადი ანგარიშები,
წმინდა საქმე გვაქვს მივიწყებული.

ხალხი ბეჩავი და უნუგეშო
ჩვენგან შეიქმნა უფრო დასჯილი;

ათას ხარკს; უღელს ვეღარ გაუძლო
და ძლივსლა სუნთქავს ღონე-მიხდილი.

შენ კი, მგოსანო, ნუ დაღონდები
ნუ მიეცევი უიმედობას,

ნუ გაგამწარებს ჩვენი დაცინვა,
ბოლოს შევიგნებთ ჩვენს უმეტრობას.

სანამ ცოცხალ ხარ შენი ლექსებით
ზოგს ტკბილი ასვი და ზოგს ნადველი;

გაცოცხლოს ღმერთმა კიდევ მრავალწელს
კურთხეულ იყოს შენი სახელი.

ვინ-ბანელი



უ რ ი... .

ს—სა

დღემ გაახილა მოწყენილი და ცრემლით სავსე თვალები... ქალაქის განაპირას მდებარე სასაფლაოზედ ცივი ქარი მრისხანედ ზუზუნებდა და ხის გამხმარ ტოტებს ყრუდ აშრიალებდა. არე-მარე თოვლით იყო დაფენილი. სამარის ქვებს სქელი ნისლი გარს ეხვეოდა და ირგვლივ ყოველივე ბუნდოვანად მოსჩანდა...

ახლად გარიჟრაჟებული დილა იყო მოწყენილი, მწუხარე, უსიცოცხლო...

ისინი სასაფლაოს გალავანში შემოვიდნენ. ყველას სახეზედ მწარე ნაღველი ეხატებოდა. ქალნი, კაცნი, ახალგაზდანი და მოხუცი — ერთად გალობდნენ. .

„თქვენ მსხვერპლნი გახდით უღმობელ ბრძოლის“... .

მძიმედ ისმოდა მოდუნებულ ჰაერში მწუხარე ხმები.

ძირს დაუშვეს შავი კუბო. გარს შემოუწყვეს ბაირაღები.

უცხად სამარისებური სიჩუმე გამეფდა ირგვლივ. მაღლობ ადგილზედ გამოჩნდა მოხუცი, რომლის თეთრ თმასა და მრისხანე თვალებს ყველანი სულგანაბულნი მისჩერებოდნენ. ჰაერში გაისმა მქუხარე ხმა, რომელმაც მყისვე გაარღვია ყრუ კედელი მღუმარებისა. იგი ამბობდა:

— აი ამ მწუხარე დილას, ამხანაგის ამ ცივ სამარესთან შევფიცოთ ძვირფას მსხვერპლს უსამართლოებისას, რომ სანამ ცოცხალი იქნება თუნდ ერთი ჩვენთაგანი, — ცოცხალია, ძლიერი და უძლეველი ის საქმე რომელსაც იგი ემსახურებოდა და თავი შესწირა... ვფიცავ!..

და ხალხმა ერთხმად, როგორც ერთმა ადამიანმა მძლავრად შესძახა:

— გვფიცავ!

— ამ კუბოს წინიშე, სადაც სამუდამოდ გაიყინა ახალგაზდა, ძლიერი და ბრწყინვალე სიცოცხლე შევფიცოთ, რომ არ დავთმობთ სანამ ყველა ჩვენი მისწრაფებანი არ დაიკავებენ ცხოვრებაში თავის საკუთარ ადგილს. ჩვენ ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და არ დავუთმობთ არც ერთ ადღ მიწას ჩვენის ამხანაგების სისხლით მორწყულს. ჩვენს შვილსა და შვილიშვილთ გადავსცემთ სიყვარულს თავისუფლებისადმი და ვუანდერძებთ შურისძიებას მტარვალთა მიმართ. . ვფიცავ... .

ჯვრებმა, ძეგლებმა და ხალხის ჯგუფმა შედგრაღ შესძახეს:
— ვფიცავ!
— კვალად შევფიცოთ, რომ არ შევარჩინოთ ჩვენი ამხანაგების უსამართლოდ დაღვრილ სისხლს და სამაგიერო შურისძიებით გავსცემთ პასუხს თავისუფლების მტერთ... ვფიცავ!..
და მწუხარე დილამ, ცივმა ბუნებამ ადამიანთა ხმებთან ერთად მრისხანედ შესძახა:
— ვფიცავ!..
ამ დროს დაეცა კუბოს სახურავზედ პირველი მუქა გაყინული მიწისა...

ჯაფარა.

ი მ ე დ ი


თუმცა გული სძგერს გლოვისა ზარად, ტანჯვა კლანჭებით სულოს ეჭიდება და ვერა ვპოვებ მოსვენებასა,—
იმედო მაინც არა ნელდება.
მიტომ ამაყად ვებრძვი შავს ბედსა, წინ, წინ მივარდევ ტანჯვათა ტალღებს; ბრძოლა ბედისა გადამწყვეტელი, ვით ვარდის კრეფა, მატკობს, მახარებს. სულაც არ მაკრთობს სევდა-ნაღველი, მკლავიც საბრძოლად არა შინდება და, ვიცი, ერთხელ მეც გავიმარჯვებ, წყვდიადი ღამე გამიბრწყინდება!

ი. მკედლიშვილი.

როდემდინ?

როდემდინ უნდა გვხუთავდეს გამეფებული წყვდიადი?
როდემდინ უნდა ტყვეობდეს ხალხის გულის თქმა დიადი?
როდემდინ უნდა გვტანჯავდეს ძალმომრეობა წყეული
როდემდინ ვზიდოთ სიმწარე ჩვენს გულში შემოჩვეული?
როდემდინ უნდა უფლობდეს ბოროტება და შურია?
როდემდინ უნდა გვთელავდეს უცხო და შინაურია?


პანიკაშვილი.



უცხოეთის მწერლობა

უცხოეთის მწერლობა

ეროვნული
ნიგელიოთიკა



ლუდვიგ ბალევი

ცნობილი მწერალი მრავალის პიესებისა და თხზულების ლირეტებისა. ქართულად ნათარგმნია მისი „ქრიალა“ და „კარმენ“. გარდაიცვალა ამ წლის 7 მაისს.




გარრიეტ ბიჩერ-სტოუ.

გარრიეტ ბიჩერ-სტოუ. ამერიკის ცნობილი მწერალი ქალია, შესანიშნავი მოთხრობის „ბიძია თომას ქონის“ ავტორი. ამ მოთხრობამ უდიდესი ზედ-გავლენა იქონია ამერიკის სოციალურ პოლიტიკურ ცხოვრებაზე—ხელი შეუწყო მონობის მოსპობას ამერიკაში. ეს მოთხრობა გადათარგმნულ იქნა სამოციან წლებში, სწორედ ბატონყმობის გაუქმების წინედ და, რა თქმა უნდა, დიდი ზედ გავლენა იქონია გლეხთა განთავისუფლებაზე.

გარრიეტ დაიბადა ამერიკაში 1812 წელს 14 ივნისს. მამა მისი ლიმან-ბიჩერ მასწავლებელი და მქადაგებელი იყო. გარრიეტმა წერა დაიწყო 21 წლისამ, 24 წლისა მისთხოვდა დეტის მეტყველების პროფესორს სტაუსს. თავის შესანიშნავი (მოთხრობის „ბიძია თომას ქონის“ ბეჭდვა დაიწყო 1851 წელს ვაშინგტონის ყოველ დღიურ გაზეთში „ეროვნულ ხმა“-ში. ამერიკაში მონობის მოსპობა სასტიკი ბრძოლით გათავდა აბრამ ლინკოლნის პრეზიდენტობის დროს, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა მწერალ ქალის ქმარიც.

ბიჩერ სტოუს კალამს ეკუთვნის აგრეთვე კრიტიკული წერილ დიდებულ მსოფლიო მგოსანზე ლორდ ბასორზე, ამ წერილებმა მთელი ევროპა ააყაყანა, რადგან მწერალი ქალი ბარონს ამტყუნებდა როგორც ცუდს მეოჯახეს ცუდლუტ ქმარს და მამას.

გარრიეტ ბიჩერ-სტოუ გარდაიცვალა 85 წლისა თავის შვილის სადგომში 1896 წელს 16 ივნისს, მისი სიკვდილს მთელი ამერიკა და განსაკუთრებით ყველა ქვეყნის ღარიბნი და ტვირთ მძიმენი გულწრფელათ ეგებებოდნენ.



ბათუმის ხანძრამა ზღვის ხიზას ზაფხულში



სოლო გოშაძე.

სოლო გოშაძე გარდაიცვალა 22 მარტს ქ. თელავში, რომლის უღროოდ დაკარგვამ დიდი სინანული გამოიწვია მის ნაცნობ-მეგობართა შორის.

ს. გოშაძე დაიბადა 3 აპრილს 1886 წელს, ქ. თელავშივე. სიყმაწვილეშივე დეეტყო მწერლობის ნიჭი. ჯერ ისევ სრულებით ახალგაზდა იყო, როცა ლექსების მოთავსება დაიწყო გაზეთ „კვალში“. შემდეგ უფრო მუყაითად მოსჭიდა ხელი კალამს და ამ უკანასკნელ წლებში მისი ლექსები მუდმივ იბეჭდებოდა ჯერ „ცნობის ფურცელში“ და მერე „მეგობარში“ და „ისარში“, საყმაწ. ჟურ. „ნაკადულშიცა“ სწერდა საბავშვო ლექსებს.

ს. გოშაძე სცენაზედაც მუშაობდა სცენის მოყვარებთან. მისის მეთაურობით სახალხო წარმოდგენებიც იმართებოდა ხოლმე.

ამასთან ერთად გოშაძეს შესწევდა მხატვრული ნიჭიც, იგი მშვენიერად ჰხატავდა და ავადმყოფობას რომ არ შეეშალა ხელი, ეს მისი ნიჭი ფართოდ გაიშლებოდა. მაგრამ უღმობელმა სიკვდილმა არაფერი არ დააცადა და სიცოცხლეს მოსწყვიტა ჯერ ისევ ახალგაზრდა 28 წლის ტაბუჯი.

ბიკოვიდან

როცა შენ გფარავს მარადა ბედი, შენ გეტრფის ყველა გინდ იყო ყბედი, და სანამ მდიდრად სოფლად ითვლები ყოველმხრივ გესმის: „შენ გენაცვლები!“

მაგრამ... ვაი თუ გაუბედურდი, შენ გაღარიბდი და დაუძღურდი... მაშინ ხომ ყველა მტრად გარდიქცევა და მეგობრებიც შორს გაგექცევა!....

კონ. ნიკოლაძე.



ესდევთ-ხანი უსისინებს
ორს დაგეშიდ ფინიასს,
„ნიშადური“ კუდ მომწვარნი
ეგფით მისდგენენ გუნიასს.

გრი— გრი.

დღეს შევსრულდი 18 წლისა!..

(ბაირთისეგური)

დღეს შევსრულდი თვრამეტი წლის და მხოლოდ დღეს ვსცანი, რომ მონა ვარ, ყმა საუკუნო... ეს ჩემი ქედი მოხრილია სხვისა საჯდომად... მთელი ქვეყანა ბნელსა მოუცავს და ყველა სტირის თვის ბედს დაკარგულს...

ლამის გუშაგი მთვარე კი, ამ სიბნელის უტყვი მოწამე, ცხარე ცრემლს აფრქვევს...

ამ ცრემლებსა, დილის ნამად გადაქცეულთა, ყვავილთ აპკურებს, სიცოცხლეს ჰბერავს.

მე კი დიდ მთას გართხულის არ ძალმიძს წამოდგომა. იქ ვკვდები მარტოდ, უთვისტომოდ.

ის ერი, რომელსაც მე ვეკუთვნო, მონაა ხნიერი, — ორბი-არწივი აზის კისერზედ და ხორცს უწყლოლებს; დიღიხანია რაც მან დაკარგა სიცოცხლის ძალი: ადკრძალული აქვს კაცური ცხოვრება. გაქურდეს ის ერი: მას მოჰპარეს თავისუფლება...

და გაქურდული, გამარცხი კვდება უსიტყვოდ...

არ აქვს უფლება სიტყვის თქმისა! და მეც ამ



ერის პირმო შვილს სად მაქვს უფლება სიტყვიანობის?!...

მაგრამ იღუმალ დიდ მთას ძალოვნებით ფრთა შესხმული, გართხული მონა, აჰ, ვსდგები ფეხზედ, შენსკენ, შენსკენ ვისწრაფი მონად მყოფო, ერო ძარცვილო, მე აგხსნი ბაგით ცხრა კლიტულ ბოქლომს და მაშინ უტყვი შეიქმნები ხომ სიტყვიანი?

და შენი სიტყვა, ვითარ ქუხილი, ვითარ საყვირი იერიქონის, მიმოველება ხმელეთის კიდეს, დაანგრევს იმ ხელოვნურათ აღმართულ მთას, რომელზედაც მიჯაჭვული ხარ და. . ვერაგთ წართმევ შენგნით ნაპარვე თავისუფლებას...

მაშ ნუ ღონდები, ჩემო აღმზრდელი. ერო ძარცვილო, დღეს ვსრულდები თვრამეტის წლისა, დღეს შთაისახა ჩემში ღიღი საგანი

და დღეიდანვე შევეცდები, რომ გაიხარო, ერო ტანჯულო!...

ვ. თამროშვილი.

ცუდი ხანა

ირგვლივ ბნელა... წყვლიაღია,
დათარეშობს ბნელი ძალი:
მეფობს ურცხვი უტიფრობა
აღარ არის სამართალი!

ყველგან ისმის ჩაგრულების
გულ მოწყვლელი კენესა-გლოვა;
ხალხის მიზანს-მისწრაფებას
ელობება მტარვალთ გროვა!

ძმაც კი ძმასა აღარ ინდობს,
მეგობარი — მეგობარსა;
ქვეყნის «გმირი» და «მოღვაწე»
ემსგავსება მეგობარსა!

ალ. ჩახუნაშვილი.

ოთხი წლის სამსახური*)

(სოფლის ექიმის ცხოვრებიდან)

თათრებში სამსახურის დროს მეხსიერებაში, ჩამებეჭდა კიდევ ერთი საინტერესო ტიპი, ტიპი ახალგაზდა გამომძიებელისა. ტანად დაბალი მოუსვენარი, მოჯირითე, მომღერალი, დამკვრელი, მაცეკვარი, კარტის მოთამაშე და აშეი ხან-და-ხან ფილოსოფოსიც— ასეთი იყო იგი. ქალებს მოსწონდათ, რადგან მისებრ მხიარული არავინ იყო სხვა. არ იყო, სულ ოხუნჯობდა, და მასწობდა. დარბაისლებთან დარბაისლად ექირა თავი. პირველი გაცნობისათანავე გაგიმეგობრდებოდა და შენობით

დაგიწყებდა ლაპარაკს. ყბას არ გააჩერებდა, სულელებლობდა კაქკაჭივით. პროკურორის უსწრებლად „ოკრუჟნი სუდიას“ ჩვენებს, ყველას უამხანაგდებოდა და უთანასწორდებოდა, რითაც ორ კურდღელს იჭერდა, ე. ი. დაწინაურებისთვისაც იკაფავდა გზას და დროსაც ატარებდა.

როგორც ხედავთ, ამ გამომძიებელს, ქკუა არ აკლდა; შორს ქვრეტდა, საბოლოო მიზანს ემსახურებოდა იმავე დროს აწ-მყოთიც სარგებლობდა. ამას გარდა ძლიერ გაზვიადებული თავმოყვარეობა ჰქონდა და ძლიერ აფასებდა თავის თანამდებობას. თუმცა იგი, როგორც ახალი გამომძიებელი, ბიუროკრატიული კიბის დაბალ საფეხურზე იდგა, ესე იგი მერვე კლასს ეკუთვნოდა, მაგრამ მაღალ-კლასისიანების წინაშე თავს არ იმცირებდა. „გამომძიებელი არავის არ ემორჩილება, დამოუკიდებელიაო ამბობდა. გამომძიებელს არავისი არ ეშინია, პირიქით, გამომძიებლის ყველას ეშინიაო. გამომძიებელს ნება აქვს ვირის-აბანოში ამოაყოფიოს თავი ვისაც უნდაო; გამომძიებელს ვერავინ ვერ გადააყენებს; გამომძიებელს...“ ერთი სიტყვით ცათამდის აიყვანდა ხოლმე გამომძიებელს და რაც უფრო აქარბებდა, ხმას უფრო და უფრო უმატებდა და ისე გატაცებული ლაპარაკობდა, თითქო თვითონაც ჯეროდა თავისი სიტყვები.

რახედაც უნდა დაგეწყოთ ლაპარაკი, ყველაფერზე თავისი საკუთარი აზრი ქონდა; ასე გასინჯერ, თვით სამკურნალო საკითხების შესახებაც კი. „მე არ გეთანხმებით, ექიმო, მეტყობა ხოლმე: მე ვფიქრობ, ეს კრილობა იმ მიზეზს არ მიეწერება, თქვენ რომ გგონიათ. მე ძალიან გამოცდილი და დახელოვნებული ვარ...“ და, როცა დავეუბტიკებდი წინააღმდეგს, მეკამათებოდა და აბდა-უბდას სჩმახავდა. რასაც ამოიჩემებდა, ვეღარ გადაათქმევინებდი, იმ საათში არაფრის გულისთვის არ დაგიჯერებდა, მეორე დღეს. რახედაც გჩნდოდა, დაიყოლიებდი. რაც შეეხება იურიდიულ ან სოციოლოგიურ საკითხებს, აქ ის მიუწოდომელი იყო. პასუხის მიცემაც კი ეთაკილებოდა. კანდიერად, დამცინავი კილოთი გადმოგისროდა თითო-ოროლა სიტყვებს, და სახეზე შეატყობდი, რომ არ გაადრულობდა, თავს არ გიყადრებდა.

ჩვენების ჩამორთმევის დროს ეს პატარა კაცი ერთი ათად გარდიქვეოდა: გაიბერებოდა, გაიფუყებოდა, სახე გაუხდებოდა პირ-მჭეში, მიუყარებელი, მიუდგომელი, ლაპარაკის კილო მკვეთრი და მედიდური, ერთი სიტყვით, ცით მოვლენილ თემიდის შვილს ან იუპიტერს დაემსგავსებოდა. ბრალდებული გრძობდა, რომ მისი ბედი და უბე-

*) იხ. „ნიშანდური“ № 46.

ღობა, ხსნა და დაღუპვა გამომძიებლის ხელში-იყო.

საინტერესოა მისი დამოკიდებულება ჩემთან, როგორც მაზრის ექიმთან. ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ კანონის ძალით მაზრის ექიმი გამომძიებელს უნდა ემორჩილებოდესო. „მაზრის ექიმი მოვალეა კუდს უკან სდიოს გამომძიებელსო“, რა გზითაც გამომძიებელი დადის, ექიმაც იმ გზით უნდა იაროსო, ექიმს ნება არა აქვს გამომძიებელს დაშორდესო“, ამბობდა, მაგრამ, ჩემი გულის მოსაგებად, თანაც უმატებდა: „რასაკვირველია, შენ ჩემ გულითად მეგობარს, კანონისამებრ არ მოგეპყრობიო“. ხან და ხან კი მოინდომებდა ხოლმე სიტყვის საქმედ გარდაქცევას. მაგალითად, როდესაც სასოფლო ცხენებს მოგვეგვრიდენ, ხათრი არ იცოდა, უთუოდ კარგი ცხენისკენ გაექანებოდა, როგორც, ვითომ, უფროსი. ბოლოს მეც უკუვავდე ხათრი და, ჩვენ ორში ვინც მოასწრებდა, კარგი ცხენიც იმას დარჩებოდა.

ერთხელ დილას ადრე უნდა გავსულიყავით დაბიდან. გამომძიებელი იმ დროს დამეცა თავზე, რომ ცხელი „ჩაი“ მედგა წინ, მომაცხა: „წავიდეთ წავიდეთ ამ წუთსავო“. ვთხოვე დამეხდარიყო, ცოტა ხანს მოეცადა, მაგრამ პროტესტი განაცხადა: „მე უკვე ვისაუზმე, მზადა ვარ, არა მცალია, და შენც ახლავე უნდა გამომყვეო“. ცხადია, არ ავასრულე მისი ნება და აღხეინად დაუწყე „ჩაის“ სმა. „ჩქარა, დოქტორ, ჩქარა, ამ წამსვე გამოცალე ეგ ჭიქაო“. მეუბნებოდა მოთმინება დაკარგული. მე კი დამცინავი კილოთი ვუპასუხე: «თუ არ გაცივდა, ცხელი „ჩაი“ რომ დავლიო, ხომ კუჭი დამეწვის; ნუ თუ კანონი ნებას აძლევს გამომძიებელს ექიმს ცხელი ჩაი დაალევინოსოქო?!» რომ აღაფერი გაუვიდა, ბედს დამეორჩილა და დაბდინდა, თუმცა ძლიერ უკმაყოფილო, რომ თავისი ვერ გაიტანა. ასეთი წვრილმანი თავ-მოყვარეობა ქონდა ჩვენს გამომძიებელს.

ექიმი.

„პროპაგანდისტი“

სიტყვა-უხვი მოლაქლაქე დარიგებას ხალხს უკითხავს; საცა რამ გაუგონია გაავრცელებს, იქვე დაუქვავს.

აქა-იქა ყურს რომ მოჰკრავს პროგრამის მუხლს ანუ კამათს, მეცნიერად ჩასთვლის თავია, წარუდგება ჯარ ჯამათს

და ჰაერში ნაჭერს სიტყვებს წამოისვრის აბლა უბდათ, **ქაროვნული** აამხედრებს ძმას ძმაზედა **ბიბლიოთეკა** და მათ მეტიც ხომ არ უნდათ!

თუ სხვამ ვინმემ კრინტი დასძრა, ააყვირებს ერთხმად ბრბოსა: „ეგ არ გვინდა! თქვენ მტრები ხართ!“ ბურთს ჩასჩრიან საბრალოსა.

რას გადასცემს, რას გადმოსცემს, განა თვით კი ეყურება?! არა! ჭკუას ძალას ატანს მის საბრმავე, უგნურება.

და რომ ვხედავ ამგვარს ყბედებს უცოდინარს, უსაქმურსა, ვფიქრობ: „ნეტავ, რა ატლინკებს ამ საცოდავს, უბედურსა.

მინდა რითმე დავამშვიდო მსხვერპლი ერთგვარ აზროვნების; მაგრამ ვნება ძლიერია ფანატიკურ შთაგონების!

დემნა პროველი.

შოთბეჭდილებანი

VI

ეს რაღა ღვთის რისხვაა?!

„ამიწანის“ მკ-72 ნომერში თქვენ უსათუოდ მწუხარებით დაათავეთ შეშდეგი ამბავის კითხვა:

ღეგეშა ღეგეშათს. „გუშინ, 80 მაისს, გორის მაზრის შვიდი სოფლის გლეხებმა სახელმწიფო დეპუტატს გეგეშკორს შემდეგი შინაარსის ღეგეშა გაუგზავნეს: მემამულემ გიორგი ამილახვარმა თავის შავი რაზმით ეს მეორედ ააოხრა შვიდი სოფელი: ვაშლოვანი, ახალდაბა, გარუბანი, არმაზი, ბექანტყე, წუბენ და წირელი; ქალები გაგვიუბატოურეს, კაცებს თოფები გვესროლეს, ამოწყვეტეს შინაური საქონელი, კირნახული გაგვინადგურეს და სადგომები აგვიწერეს. გთხოვთ, რომ ამის შესახებ აღძრათ საკითხი სახელმწიფო სათათბიროში. დაწვრილებით ამბავს გაცნობებთ“.

თითქმის ათი წელიწადია, რაც თავად აზნაურობა ჩვენში განიდგინს გაჭირვებას და მწარე შეურაცყოფას; ვინც კი ჯდაბნა იცოდა, ვისაც კი ორი სიტყვის ამობლუქუნება შეეძლო, ვერ მოითმუნდა, რომ ერთი ტლინკი მაინც არ ეკრა თავდაზნაურობისათვის, ერთი არ შეუკურთხებია.

თავდაზნაურობა ყველა ამას ითმუნდა: ერთხელაც არ მიუძარათას შკაცრი ზომებისთვის, ერთხელაც არ ცდილა შეურაცმუ-ფუელისთვის სსმაგიერო გადახება. თუ ვინმე დააზიარებდა თავის დასაცავათ არა ჩვეულებრივის, შკაცრი ზომებისთვის მიემართა, თვითონ თანამოქმედები ისე შეუბღვერდენ, რომ უხმით აურევიანებდენ იარაღს.

ამ დუმილში ინსტუბოდა ერთის მხრით, შენახება იმ ცოდვებისა, რომელნიც უოველს ჯგუფს, უოველს წრეს, უოველს კაცსა და კლასს თანდაყოლილი აქვს და მოკრეს მხრით, ტრადიციული სულის სიმადლე. ამ მოთქნაში იყო უკელა გონიერა ადამიანის იმედი, რომ ქვეყანა დაწინარდებოდა, რომ წოდებთა შორის შედელი ადგილს დაუთმობდა კანსიერს, ბუნებრივს აუცილებელს ბრძოლას დარბთა და მდიდართა შორის, რითაც ნებისუბიეთ მომხადდებოდა ხიადგი უკეთესის მოძავლისათვის. სწორედ აქ იყო ხასხუელი იმედი, რომ შინაური საქმის მოწესრიგებით საშუალება მოგვეცემოდა საერთო მტერს შედგრად დავხდომოდით—იმ მტერს, რომელიც არ ინდობს არც მდიდარსა და არც დარბის.

უსხეულ იმედმა, ჯერ კიდევ ბურჟუაში განვეუღმა, თავისი სახის გამორკვევაც კი იწუხ: აკრანული მოძრაობა შესწუდა; გლეხებმა მიწის შეძენას მიეგეს ხელი; აზნაურობამ თვითონ შეადგინა კომისია, რომელიც უადვილებს გლეხობას მიწის შეძენას; ზარტები ეხლა უკვე ურჩევან გლეხებს, ნუ უცდიან უსასუიდლოთ მიწის დარბობას და ეცადონ შესუიდვით ჩაიგდონ ხელში დიდი მიწის მოფლობელთა მამულები; თფილისის ვაჭრების დიდმა ნაწილმა, როგორც ერთეულმა, გაიღო წვდილი ერის კულტურული დაწესებულებისათვის; მწერლობაში, — რომლის ხელმძღვანელები ჯერ-ჯერობით უფრო და უმეტესად თავადაზნაურთა წრიდან არიან, — განუწვევტელი დადაია კულტურული მუშაობის შესახებ, შესახებ საჭიროებისა ხალხში, სოფლად ცოდნასწავლის შეტანისა. სადაც, ჯერ კიდევ ნაზათ კანმა ნამდვილი ეროვნული ხმა...

და უცრათ, მოულოდნელათ დეპუტა დეპუტატს... სურათი ვი მისის დარბეული შვიდი სოფლისა... ზარტისხდილი ქალები... დაჭრილ-დაფლეთილი შინაური საქონელი... შინაეულ-მისხეული ფეტვი, ზური... აწიოკებუელი სადგომები... ტუვიების ხშივი...

საშინელებას!

მართალია ეს ამბავი, თუ... ვერაჯერს ვიტყვი. გრძობა შეფოთდება და განებისაც ძალს ატანს უარს სოჭას...

დარბეულთა აზრით სიმართლე უნდა ადადგინოს დეპუტატმა გეგეკეკრმა სახელმწიფო სათათბიროში; მე კი საკმაო საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ ბ. დეპუტატისაგან ვერაფერი ხერი გამოვა... ჯერ ერთი ქართველ დეპუტატებს უფრო დიდა (დეპუტატებისკვე აზრით) საქმე აქვთ სათათბიროში, ვიდრე ქართველი ერის ტანჯვა-ვაზა... აი, მაგალითად, უნდა იმასხარონ ხატების ძალაზე, რუსული ენის მნიშვნელობაზე. . სად მოიცილიან შეისწავლან ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. თუნდაც ადრან საკითხი, ესლანდელი სათათბირო განზირა ქვეყნების მცხოვრებთა შორის უთანხმოებას, დაწიოკება—დარბევას

გულში სიამოვნებით და სრული დუმილით შეხედება მიაქციეთ თუ გნებავთ უურადდება, რა უნდა დასტუდინდეს სათათბიროში? მხოლოდ მოხელეთა უვარგისობა, იმ მოხელეთა, რომელთაც წინაწინვე ვერ მოახერხეს ასეთი ბორბტების ადაგვა. ამ საქმეში კი ჩვენ გვანტერესებს არა რუსეთის მოხელე, აქ გადმოხვეწილი „ბედნიერების და ჩინების საკურათ“ არამედ ჩვენივე ქართველი, ჩვენივე ძმა—უდახაშულოა, თუ მტუჟანი მაინც და მაინც ჩვენი; მას ჩვენივე ქართველებმა უნდა მავსცეთ საკადრისი ზასუხი: თუ მართალია, — ადადგინოთ მისი შებდალული სახელი და თუ მტუჟანია ვითათბიროთ აქ თფილისში მის საქციელზე და დაკვით იგი.

მთავრობა უურადლებითაც რომ მოეზურას ბ. ამილანგარის ნამქმედარს შედეგი მაინც სრულიად უმნიშვნელი იქნება... მთავრობის მსჯელობას უოველივე ფასი აქვს დაკარგული... სამართლიანადაც; ბრლიანსა და უბრალოს გაურჩევლად და გაუგებრად სტუქსავს, მამასადამე, უვლას ეძლევა საშუალება თავი იმართლოს საზოგადოების წინაშე, დახაშული არ ვიყავით.

მთავრობის მიერ დადგმული ეკლის გვირგვინი გადიქვას საუკეთესო სხივად უბიწობისა!

მაშ, ვინ უნდა იღვას თავს ამ საქმის გამოძიება ქართლ-კახეთის დეპუტატთა საკრებულში.

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას ან უავს წევრი, რომლის საზიზდარი საქციელი ჩირქას სცხებს მთელ თავადაზნაურობას, ან და არიან ასეთი ზირები, რომელნიც უსისინებებს გლეხობას თავადაზნაურობაზე, რომელნიც ჭროთა და ცილისწამებით ცდილობენ ანთონ მიფრთფილი ნაკვერცხლი.

ორივე შემთხვევაში დეპუტატთა საკრებულ მოვალეა გააკვიროს საქართველოს და მხოლოდ საქართველო, როგორი განწყობილება და მიმართულება სუფევს ერის სხვა და სხვა ნაწილთა, — ჯგუფთა და კლასთა შორის. ბ. დეპუტატისადმი გაგზავნილი ტელეგრამა საუკეთესო მაგალითი ამ განწყობილება — მიმართულებისა, მიუხედავთ იმისა სიმართლეზეა იგი აკებული, თუ სიცრუეზე...

საჭიროა მხოლოდ ამ გამოძიებაზე მიწვეული იქმნენ ზრესის წარმომადგენლები და საზოგადოდ უვლას, ვისაც კი აინტერესებს ეს საქმე, რათა თვით შურმა და მტრობამაც ვერ დასწამოს გამოძიების ნუოფს რამე მიკრძება და ცაღმხრობა, კიდევ ვთხოვთ (ამ ჩვენს თხოვნას, მგონი, ბევრი გულწრფელად შეუერთდება) ზარტტემულ ქართლ-კახეთის დეპუტატთა საკრებულს ჯეროვანის უურადლებით მოეზურას ამ საქმეს და ფიცხად იმოქმედოს.

ამასთანავე არ შეგვიძლიან არ ადვინშნოთ ერთი საშწუნარო ამბავიცა. „ნიშადურის“ რედაქციას მოუვიდა რამდენიმე ცნობა, რომ ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთი შემამულები ავიწროვებენ გლეხებს და მათს მოქმედებაში

თითქმის გამოსკვივის სურვილი შურისძიებისა— კადუნა-
დონ გლეხობას ის, რაც კაჭირება თავს დასტყობათ და
კანუდნით უკანასკნელ წლებში... რა ზომამდე უნდა მიგვი-
უვანოს ასეთმა მოქმედებამ?

გარდა ერთგული ინტერესებისა ამ მოძალადეთ
ნუ დაავიწყდებათ ზარადი უზრუნველყოფაც, რადგან გა-
ეთრებული ხალხი, ვინ იცის რაგორ და რითი უზა-
სუნებს?

ერთი მუჭა თავდაზნაურება ვერ გაუძლებს მრ-
ავალიტეტის ხალხს, და თანაგრძობაც საზოგადოების
საუკეთესო ნაწილისა, თვით შემამუღე თავდაზნაურთა
და მთელი ინტელექტუალის კანურწევლად მიმართულე-
ბისა გლეხობისკენ იქნება.

უფრო განიერებმა უნდა შეჩერონ ეს „დრისი მი-
მდგარი“ უმცირესობა და გრძობათა დეფა გონების
კალაპატში უნდა მამწყვდევინონ თავკასულ თანამომეთ.
ვიმედოვნებთ და გვლოთ.

ნ. ლორთქიფანიძე.

პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

—:—

სოხუმი (აქაური რამე—რუმე).

ამას წინად გაზ. „Бат. Голосъ-ის“ წერილ-
მა გ. გ —ესი, სოხუმის გამგებობის საქმეების რევი-
ზიის შესახებ, დიდი მითქმა—მოთქმა გამოიწვია
აქაურ „მალალ“ სფერებში...

„ქეშმარიტ“, უკაცრაული სიტყვაა, მოღვაწეებს
ნერვები ისე აეშალათ, რომ ჯავრისაგან, ქეშმარი-
ტათ ტანზე ჯავარს იგლეჯდნენ. მწარე ლიმილეთა
ამბობდნენ: „Что возмутительно“. აი თუ გნე
ბავსთ, პროვაკაციაც ამასა ქვიანო!..

„ოქროს“ ახალგაზდობის ერთ „ზასედანიეს“,
ზღვის ნაპირათ, შემდეგ საუბარსა ყური მოგვარით:
ამხანაგი ეუბნება მის პირდაპირ მჯდომს:

ი.— Читаль ?

კ.— Да.

ი.— Какъ тебѣ правится ?!

მათ, „ნეიტრალურმა“ ამხანაგმა, მიუგო პირ-
ველს:

ამასობაში, საჭიროა სიმართლის გამომჟღავ-
ნება.

ი.— არა ღირს იმათ.

„ნეიტრალურმა“ განაგრძნო ჰო, და... პოლემ-
იკური ხასიათს მიიღებს— არა ღირს და ცოტათი
არ იყოს, ირონიულათ დაუმატა, — არც ანგარიშიაო.

ი.— ??.

„თავხედსაც“ პასუხათ სახეზე დაეტყო.

—!!!..

დაითხოვეს ადგილიდან აქაური ერთ დამ-
სებულების საქმის გამე, როგორც ვაგვიმე მოხე-
ლეს დათხოვნა შედეგათ მოყვა იმას, რომ მას სულ
„არ უყვარდა“ „გამომამსქნება“...

აგრეთვე ბოქაულიც დაითხოვეს თავის თანა-
მდებობიდან.

ამას წინათ სასიკვდილოთ დაჭრილი ალექსი
სიკინავა 25 მაისს გარდაიცვალა. დაკავებული,
ვითომდა მკვლელიაო ს., როგორც საქმიდან სჩა-
ნს, თავს იმართლებს ნამდვილი მკვლელი არ აღ-
მოუჩინიათ.

შავი-შვილი.

ხონი (აქაური ამბავი)

კვირას ს. ლანირში თავს დასხმიან სამი შე-
იარაღებული მცარცველი ორ ებრაელს. ერთი
ებრაელი მძიმეთ დაუჭრიათ მეორე გაქცეულა.
დაჭრილისათვის წაურთმევიათ 15 მანეთი ეს ამბავი
აცნობეს ხონის ბოქაულს, რომელმაც მცარცველები
სწრაფად დაიჭირა. მცარცველები აღმოჩნდნენ სოფ.
გოჩა-ჯიხაიშის მცხოვრებნი ვასილი და სევერიანე
მიქაძები, მესამე მცარცველი გაიქცა სამივე მამა და
შვილებია. აქაურ ფოტის განყოფილებაში ეს ერთი
წელიწადია რაც რომ ფულის ამანათები არ მოდი-
ოდა, რაცა ძრიელ ხელს უშლიდა ხონელებს; ეხლა
მაისის შუა რიცხვებიდან ფულის ოპერაციაც არის
— აქაურ ბაზრის ქუჩებზე ქვაფენილს აგებენ.
მუშაობა უკვე დაიწყო, ხარჯი დუქნის პატრონებს
გააწერეს.

გან—მ.ნ.

ს. მათხოჯი. (კეთილი სქმე).

აქ არსებობს ჟურნალ-გაზეთების მკითხველთა
ჯგუფი, რომელიც ჯერ ჯერობით რვა კაცისაგან
შესდგება- თვითეული იხდის თვიურად ექვს შაურს.
ეს ჯგუფი გამუდმებით ყოველ დღიურათ ყიდუ-
ლობს ორი დღიურ გაზეთს „ამირანს“ და „ნაპერ-
წკალს“ დანარჩენ ჟურნალ—გაზეთობას კერძო
პირები იძლევენ. ასეთ ჯგუფები სოფლად ჯერხა-
ნად დიდად მნიშვნელოვანია ღ უქველია დიდ სარგე-
ბლობას მოუტანს გლეხ-კაცობას შეგნება განვი-
თარების საქმეში; სასურველია რომ სხვა სოფლებმაც
მიბაძონ და დაარსონ ამგვარი მკითხველთა ჯგუ-
ფები.

ალგიგ.

ს ა ლ ლ ე ი ს ო ლ

ისეთი საძაგელი არა არის რა, როგორც უწმინდურ ხელში ჩაეარდნის კალამი,

ყოველს მწერალს, მიუხედავად მიმართულები-სა, უსაბულოდ უნდა მოეპოვებოდეს სალი გონება.

ამასთანავე, რა თქმა უნდა, აუცილებლად საჭი-რია ცოდნა იმ საგნისა და საქმისა მიმართ, რაზედაც სწერს და მსჯელობს მწერალი.

ზემოდ აღნიშნულს ორს თვისებას უეჭველად უნდა აისისახონ: გრძობა და პატიოსნება.

თუ მწერალს აღნიშნული თვისებანი არ ახ-ლავს, მაშინ სამწუხაროდ ამოა წერის ნიჭიც და უნარიც.

ყოველივე კრიტიკა — კვლევა-ძიება საზოგადო-დოდ კეთილ-სინდისიური უნდა იყოს.

ხოლო კეთილ-სინდისიერების სათივე იწყება სიფრთხილის გრძობისგან, რომლიდან მომდინარეობს არა შური და ძულება, არამედ სიკეთე და თან-გრძობა სადაო და საკამათო საგნის-დმი.

კრიტიკული კეთილ-სინდისიერება ყველას ერთნაირს მიუდგომლობით უნდა ეხმარებოდეს.

მეტ-ნაკლებობის დაფასებაში დღილი არ აქვს პირადობას და შესწავლას.

კრიტიკა დიან თავისუფალი და ყოველად და-მოუკიდებელი უნდა იყოს რაიმე კერძო ან პირა-დათ შინაგან ზედ გავლენისაგან.

კრიტიკის, კვლევა ძიების, ანალიზის მთავარი მომქმედნი: გონება, თვალი და ყური არამც და არამც ხელოვნურად არ უნდა იფხენ დახშულნი, ახკუჭნი და დაცობილნი.

ა. შოპენჰაუერი ასე ახასიათებს კრიტიკას: „როგორც წამალი ვერ აღწევს ხოლმე თავის მი-ზანს, თუ იგი ქარბად და გადამეტებულად არის ნახმარი, ისე კრიტიკაც ყოველად უნაყოფია თუ იგი გადასცდა მართებულობისა და სამართლიანო-ბის გზას“.

დიხაც წმინდა და მიუდგომელი უნდა იყოს კრიტიკის ბუნება — გუნება და, რა თქმა უნდა, მართებული პოლემიკაც.

მერე ასეთის კრიტიკით გვიმასპინძლებიან ჩვენებური ესდეკების პოლემისტები?

აბა რა სათქმელია.

ამ უკანასკნელ ხანებში ისე გამწვავდნენ და გამწარდნენ სხვა და სხვა ჯურისა, ყალიბისა და ხარისხის „აფხანიკები“ — ანბანები, გინდონები, სპერანძები და ყარიბები ნაბოლა და ნაძირალები, ეშმაკები, ქაჯები და დარღუხანები, რომ ყოველი-

ვე ადამიანური და გადალახეს (ლოდიკა და მართლ მსჯელობა რა ხანია გადათელეს) რწმუნებულნი შეე-ძლებელიც შესაძლოთ გახადეს. შიშველი რთიქვა

რას ვააწყობთ ასეთს გონებრივ ზნებრივ სი-ღუხტირესთან? ვერაფერს იმის მეტს, რომ დრო გამოშვებით აღნიშნავთ და აღნუსხავთ მასს ვერა-ნულ სიმახინჯეს! .

ლანძღვა-გინება, კილა და კიცხვა, თვალთ-მაქცობა, და თაღლითობა — ცილის წამება და დასი-სინება, დანოსი და მბეზღრობა, სამარცხინო უშვერობა და საძაგელი უდიერობა ხელობად გაი-ხადეს ამ ვაე ბატონებმა, მეტხორცად და ჩირქიან მუწუქებად მოვლენილებმა ჩვენს ცხოვრებაში.

თუ ერთმა რომელიმე მათგანმა დაგყეფა და აგი-თვალისწუნა, ყველანი ერთად ჩხავილით და ღმუ-ილით შემოგიტევენ და არავითარ საშუალებას და საღსარს არ მოერიდებიან, რომ გაგათახონ და გა-გსვარონ არა მარტო პარადად დედა ბუდიანად, ოჯახ-შალაბიანად, ცოლ-შვილიანად და ნაცობ-მეგობრებიანად... .

ეს თავგაკირული და შუბლ გარეცხილი ვი-თომ და „კაცობრიობის კეთილის მყოფელნი“ — გრძობით მახინჯნი, სულით დატაკნი და საქმით ვერაფერი იმ ზომამდე გაველურდნენ, რომ თქვენის მოსახერხებლად და შესაბაღლავად, გიყურის მოუ-რიდებლობით და სანკოლუტურის თავხედობით, ლამის პირიდან და ტანიდან ასაქმონ მათ მიერ აბუჩად აგდებულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

და ასეთ საქციელს კრიტიკის ქარ ცეცხლს და პოლემიკურ ბრძოლას ეძახიან ეს კუჭისა და სიბინძურის მოციქულები!

მაგალითები?

აუარაბელი და ურიცხვი ყოველ დღე და ყო-ველს ნაბიჯზე!

„Наша „ენის““ ჟიანასკნელს ნომერში გვემულ-ცემულს და პირ-ახეულს ყარიბს ჩვეულე-ბრივ თავზე ხელი აუღია და მისებურის ურცხოებით და უშვერობით ლანძღავს და სერის თავის ბინძურ ამონათხვე ამონასაქმევში ეხლა ხან საზღვარგარე-თიდან ჩამოსულს ახალგაზდა მეცნიერს, ნიჭიერს ლექტორს გრ. რობაქიძეს.

რათა? რისთვის?!

იმისთვის, რომ онъ фактъ вырожденія груз. народа аргументировалъ ссылкой на ушйство И. Чавчавадзе. ასე იწყებს თავის წერილის პირველ სტრიქონებს ყარიბი და იმდენად ბრიყვია, რომ თვითონ ვერ ამჩნევს თუ რა მახეში ყოფს თავს... .

ვინ არ იცის ეხლა, რომ ილია ქავჭავაძის სა-

ხელის ხსენებაც კი საკმარისია, რომ დუხჭირთა და ვერაგთა ბანაკში განგაში ასტყდეს და ერთი ვაი უშველებელი და ორომტრიალი დაფორიაქდეს.

გრ. რობაქიძეს არ აპატიეს და ვერცა როდისმე აპატიებენ ჩვენებურის მარქსისტების ლიდერ-ბელადნი, ჰუბლიცისტნი და მწერალნი, რომ ლექტორმა თავის პირველ ლექციაში იმათი ჯგუფი და სულის კვეთება ერთის მოსწრებულის სიტყვით ХАМСТВО-თი მონათლა.

„Не повтори онъ подь маской философіи, гнусную легенду объ убійствѣ поэта, რა თქმა უნდა, თვითონ თავით ფეხამდე ГНУСНЫЙ ყარობი ქებით და ხოტბით მოიხსენიებდა გრ. რობაქიძეს, მაგრამ საკმარისი იყო ლეგენდა-ს განმეორება და მცოდნე და ნიჭიერი რობაქიძე უვიც და უნიჭო ჭაბუკად იქცა! ..

„ვაი სირცხვილო სადღა არის შენი სიწითლე? ყარობს და მის „აფხანიკებს“ ალბად არ ესმით ან არა და თავს განზრახ იმუტრუკებენ, თუ ჰგონიათ რომ დღეს ვინმე მოიპოვებოდეს საქართველოში იმისთანა გულ-უბრყვილო, რომელსაც გულწრფელობა სწამდეს მათი და ეჭვით არ ისმენდეს მათს ნიაგისებურ ლაღადს, როცა ეს ვაჟბატონები რასმე ი. ჭავჭავაძეზე ან მის შესახებ სწერენ.

რა თქმა უნდა ყარობისა და მის „აფხანიკების“ თვალში გრ. რობაქიძე просто пугае, вскочившій на гнойномъ трупѣ уже разложившагося груз. общества და ამ სიტყვების პატრონი თვით ვერ ამჩნევს და აღარ გრძნობს, რომ იგი მართლაც უკვე მორალურად განზრწნილი ლეშია და რაერთი ხანია რაც მძოვრის სუნი ასდის!..

თქვენ უკვე მაშინ მოკვდით და ლეშად იქცით, როცა ილია ჭავჭავაძის ვერაგულს მკვლელობას ლეგენდა უწოდეთ.

უბადრუქნო, 30 აგვისტო 1907 წლისა ლეგენდა კი არა ფაქტია.

ფაქტი სამარცხვინო, ფაქტი გადაგვარებისა; გავერანების და გამხეცების მომასწავებელი ფაქტი. მონადირე.

P. S. ეს წერილი მზად იყო როცა გაზეთებმა გვაუწყეს, რომ სათავად აზნაურო ბანკში სეკრეტრების თანამდებობაზე, სხვათა შორის, ასახელებენ ბ-ნ გელეიშვილს-ყარობს. როგორ?! იმ ბანკში, რომელიც აღზრდილი და აღორძინებულია ი. ჭავჭავაძის მადლიანის ღვაწლით და დაულაღვის მზრუნველობით და რომელსაც ყარობი თავხედურად ГНОЙНЫЙ ТРУП-ს უწოდებს, ამ საზოგადო დაწესებულებაში ყარობი ნავთსაყუდარსა თავშესაფარს პოულობს? ნეტა ყარობს და მის ха-

МСТВО-ს!

მართალია ამ დაწესებულებაში ეხლა არწივის მაგიერ სათავეში ყვავი სდგას, მაგრამ ილიას დედას დედადებული სული კიდევ დიდ ხანს იტრიალებს ამ ბანკში და 30 აგვისტოს 1907 წ. ლეგენდის ავტორებს, თავისთავად ცხადია, ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ამ გვარ საზოგადო დაწესებულებაში.

მონადირე,

მომზადება

მახსოვს დედის კალთა მიჩნდა საიმედო თავ-საფარად და იქიდან თვით მძაფრს ლომსაც შევეუტყვედი მამაცურად.

მაშინ მთელსა დედა-მიწას ვხადდი ჩემთვის თბილ ბუმბუღლად, და თვით კაცობრიობასა გულ-მოტკივნე ჭირისუფლად.

მაშინ კაცის მეღვთა ლაქუსს წრფელს აღერსთან ვერ ვარჩევდი და უზრუნველ-უსუსური თვით ბოროტსაც ვერ გამჩნევდი...

მაშინ ტრფობის მწველი ალით გული არ მიღელდებოდა, მომხიბლავი ქალის სიტყვა ისრად გულში არ მხვდებოდა...

მაშინ შუქი მონობისა ჯერ არ მეგრძნო ბედნიერსა, ვით ფრთოსანი ტრიალს მინდორს, დავმდეროდი სალამურსა.

დავმდეროდი, მაგრამ ის ხმა ხმა არ იყო წუხილისა, მასში აღარ გამოსჩანდა გლოვა თავისუფლებისა;

ის არ იყო მწარე დრტვინვა დალახვრილის ტრფიალისა. ის არ იყო ვალაღება ბედშავის და ჩაგრულისა.

მაგრამ განქრა დრო ნეტარი, დავადექი ეკლის გზასა, მძიმე ტვირთის ქვეშ ძლივს ვსუნთქავ, ვერ ველირსე განცხრომასა.



მონის ჯაჭვით შებოქვილი ველარ დავმდერ ძველს ჰანჯვებსა, — დალახვრილი ცხოვრებითა გლოვას არჩევს ყველა ხმებსა...

ილ. პონტელი.

ნამამასახლისარი მასწავლებელი

ცენტრალისტური და ავტონომიური ბრძოლა უსდკეებში.

ეროვნული
საბჭოთაო



არვიცი ვის დავემანა,
 ორივე ჩემთვის არს ძვირფასი:
 კახტა გოგო თვალ-ყუყუნა,
 და თან სასუსე ღვინით თასი.
 გენაცვალე ნადს, მამას,
 ვისაც რამ აქვს დია მკერდი;
 გენაცვალე ღვინის ტიკჭარს,
 მას იახშირად-აღაფერდი!..

გრი - გრი,

საკატიო მიზეზები.

კარაპეტა და სედრაკა კლუბში არა ჩვეულებრივ დროს წარდის თამაშობას ათავებენ.

— სედრაკ, ასე აღრე საით მიეშურები?

— სახლში მივდივარ, კარაპეტ-ჯან, დღეს მოახლე გაგვექცა და ჩემი მაქთალა მარტოა სახლში.

— მაშ თუ აგრე მეც მოვდივარ... მე კიდე დღეს დილით ცოლი გავექცა და მოახლე კი შინა მყავს მარტო..

— ქალო, აკი ნახე ეგ პიესა, მეორედ რაღა მიგარბენინებს თეატრში?

— პიესა კი ვნახე, მაგრამ ვინც მე მინდოდა ის არ მინახავს.

— პატივცემულნო ამხანაგებო და გულადნო კაცნო!..

— ხელები მალლა!!!

— ჰო და მეც მაგაზე მოგახსენებთ! ნება მიბოძეთ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოვიღო, თორემ საშინელი სურდო მჭირს და ხელებს ცხვირთან დავიჭერ, რაც შეიძლება მალლა! თქვენკი მინამ რევიზია უყავით ჩემს უბე ჯიბეს...

საფარ-ოლლი.

რედაქტორ-გამომც. ვალერიან გუნია.

განცხადება

დღეს, კვირას, გაიმართება მუშტაბდში სეირნობა ლოტარია - ალეგორით ქართვ. ქალთა საზოგ. სამე. სკოლის სასარგებლოდ.

შესასვლელი ფასი 20 კ. ბავშვებისთვის 10 კ. ალეგორიის ბილეთი 20 კაპ.

სეირნობა დაიწყება 4 საათზე.